ხელშეკრულება №5/2

აუდიტორულ მომსახურეობაზე

ქ. თბილისი

2014 წლის 7 ივლისი

შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვით, წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მხარეებია ერთის მხრივ შ. პ. ს. "აუდიტ ცენტრი იბერია", რომელიც ფლობს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2011 წლის 12 დეკემბერს გაცემულ 8 № 6 / 078 საკვალიფიკაციო სერთიფიკატს, **მისი დირექტორის სახით გურამ კიკაბიძემ**, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონის "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" და წესდების საფუძველზე და მეორეს მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №160 საჯარო სკოლის დირექტორმა გიორგი კაკაჩიამ, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს , სსიპ ქალაქ თბილისის №160 საჯარო სკოლას აუდიტორული მომსახურება (ჩ V – 79212200), კერძოდ: განსაზღვროს სსიპ ქალაქ თბილისის №160 საჯარო სკოლის შენობაში მდებარე 5 კვ.მეტრი ფართის საწყისი საიჯარო ქირის ოდენობა;

79210000

2. მომსახურების ღირებულება

2.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 50 ლარს.

3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1. **"მიმწოდებელი"** ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2014 წლის 9 ივლისამდე;

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი;

4. მომსახურების მიღება – ჩაბარების წესი

4.1. გასაწევი მომსახურება ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ აუდიტორული დასკვნის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5. ანგარიშსწორება

6.1. **"შემსყიდველი"** შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას მოახდენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 კალენდარული დრის განმავლობაში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარებში;

6. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

6.1. **"შემსყიდველი"** ვალდებულია შეუქმნას **"მიმწოდებელი"** აუდიტის ჩატარებისათვის ყველა საჭირო პირობები, "შემსრულებელს " წარუდგინოს აუდიტის ჩასატარებლად საჭირო მთელი ინფორმაცია, **მიმწოდებელს"** გადაუხადოს სამუშაოს ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებსა და პირობებში;

6.2. "დამკვეთს" ეკისრება პასუხისმგებლობა აუდიტორისათვის წარდგენილი ინფორმაციის სისწორეზე;

6.3. სამუშაოს შესრულების პერიოდში თუ "დამკვეთი" **"შემსყიდველი"** ვერ უზრუნველყოფს აუდიტის ჩატერებისათვის აუცილებელი ყველა ინფორმაციის წარმოდგენას, **"მიმწოდებელი"** უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოს შესრულება, ხოლო სამუშაო უნდა გაგრძელდეს "დამკვეთის" მიერ საჭირო ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ;

6.4. **"მიმწოდებელი" ვალდებულია:** აუდიტორული მომსახურების დროს განუხრელად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტები, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები, დებულებები და ნორმატიული აქტები, კვალიფიციურად და დადგენილ ვადაში შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. საიდუმლოდ შეინახოს

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. თუ რომელიმე მხარე თავისი მიზეზით სათანადოდ არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობას ან გავა ხელშეკრელებიდან მას ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა, რომლის ოდენობა არ აღემატება სამუშაოს შესრულებაზე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების ოდენობას;

7.2. ანაზღაურების პირობების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე, მეორე მხარის სასარგებლოდ იხდის საურავს – ასანაზღაურებელი თანხის ერთ პროცენტს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

8. ფორს – მაჟორი

8.1. ფორს – მაჟორული სიტუაციის დროს ხელშეკრულება ირღვევა ან ხდება მისი დროებითი შეჩერება.

9. სხვა პირობები

9.1. **"შემსყიდველის"** საფუძვლიანი შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მხარეები ადგენენ ორმხრივ აქტს აუცილებელი შესწორებების და დამატებითი სამუშაოების ჩატარების, მათი შესრულების ვადების და სხვა პირობების შესახებ;

9.2. **"მიმწოდებელი"** საჭიროების შემთხვევაში თავისი რისკის ხარჯზე თვითონ შეარჩევს სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო სპეციალისტებს, რომელთა ანაზღაურება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებით " შემსრულებისათვის" გადასახდელი თანხიდან;

9.3. მხარეებს შორის სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავები გადაიჭრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.4.. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ აღებული ვალდებულებების სრულად შესრულების მომენტამდე;

9.5 უარყოფითი აუდიტორული დასკვნის შედგენა ან შედგენილ აუდიტორულ დასკვნაზე **"შემსყიდველის"** უსაფუძვლო შენიშვნები არ შეიძლება გახდეს მიზეზი წინამდებარე ხელშეკრუ-ლების პირობების დარღვევისა;

9.6. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.7. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

9.8. ხელშეკრულება შესრულებული და ხელმოწერილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან;

მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები, საიდენტიფიკაციო ნომრები, ტელეფონის ნომრები და ხელმოწერები:

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

"დამკვეთი"
სსიპ ქალაქ თბილისის № 160 საჯარო სკოლის
დირექტორი
გიორგი კაკაჩია

სნ 209469074

"შემსრულებელი"
შ.პ.ს. "აუდიტ ცენტრი იბერია"
ტელ:32-62-42 მობ: 899-56-86-01
თბილისი, ნუცუბიძის პლატო მე-3 მ/რ
მე-2 კვ, მე-2 კორპ. ბინა 56
ს. ს. "საქართველოს ბანკი"
კოდი BAGAGE22
ანგ. № GE 51 BG 0000000220118500

საიდენტიფიკაციო № 204 969 294

**დირექტორი: – – –